შიბლიანის ამბები

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №18(32) 2012 წ. 16-30 სექტემბერი ფასი 50 თეთრი

საქართველოს პრეზიდენტი შიბლიანში

17 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფელ შიბლიანს ეწვია და აქაურ მოსახლეობას, მოსწავლეებს, პედაგოგებს ახალი სასწავლო წლის დაწყება საჯარო სკოლის ახალ შენობაში მიულოცა.

ის, რაც ქართულია

8 ათასი წლის წინათ ჩვენმა წინაპრებმა მსოფლიოში ერთ–ერთმა პირველებმა მოიშინაურეს ვაზი, დაწურეს ყურძენი, დააყენეს ღვინო, წარმოსთქვეს სადღეგრძელოები–ქება–დიდება უძღვნეს არსთაგამრიგეს სწორედ იმისათვის, რომ ქართველებად გაჩნდნენ ამქვეყნად და ისიც ამ დალოცვილ მიწაზე, რომელსაც დედამიწაზე არსებული ვერც ერთი მიწა, ვერც ერთი ქვეყანა ტოლს ვერ დაუდებს. დიახ, ვაზი და ხორბალი, ღვინო და პური ადგა საფუძვლად ქართველის თვით დამკვიდრებას, მისი ეროვნული ცნობიერებისა და ლაღი ბუნების ჩამოყალიბებას. პურღვინო ქართველი კაცის ჭირიცაა და ლხინიც, მისი თანამგზავრიცაა და კაცობის გვირგვინიც.

მსოფლიოში 4 ათასზე მეტი ჯიშის ვაზია გავრცელებული, აქედან საქართველოში 500-მდე ვაზის ჯიშია დაფიქსირებული. სწორედ საქართველოშია მეტად მრავალფეროვან ჯიშთა სიმფონია ფერთა არაჩვეულებრივი გამით. არც ერთ ქვეყანაში არ სრულდება იმდენი სამუშაო, რამდენიც საქართველოში. ზოგ ქვეყანაში ვაზი ისხვლება ხუთ წელიწადში ერთხელ, ზოგან შვიდ წელიწადში ერთხელ. ასეთივე ინტერვალებით ხდებოდა დაბარვა და სხვა ოპერაციებიც, მხოლოდ საქართველოშია შექმნილი გეგმაზომიერი, მწყობრი ციკლი ვენახის დამუშავებისა.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია ვაზი გავრცელებული, გამონაკლისია მთა. აი, რას გვიამბობს ლეგენდა: ღმერთმა გააშენა ვენახი საქართველოს ბარში. ბოლოს სვანეთში მივიდა და სოფელ ხოფურამდე გააშენა თუ არა ვაზი, ადამიანის ეშმაკი შეხვდა, მოატყუა უფალი და უთხრა, რომ ამის ზევით ცხენისწყლის სათავემდე უკვე მე გავაშენე ვენახი და შეგიძლია უკან დაბრუნდეო. უფალმა მადლობა გადაუხადა და დაბრუნდა უკან. სოფლის მცხოვრებლები ახლაც უჩვენებენ იმ ქვას, რაზედაც თითქოს ატყვია უფლის ფეხის ნადგამი და მისი ჯორის ნატერფალი. ამ ადგილს ხალხი ახლაც „უფლის ფეხის ნადგამს“ უწოდებს.

საქართველოში გავრცელებული ჯიშების რაოდენობამ 450-ს გადააჭარბა. აქედან კახეთში 66 ვაზის ჯიშია დაფიქსირებული. 66 ჯიშიდან 17 - შავი ჯიშისაა, 36 თეთრი, 13-ის ფერი ჯერჯერობით ცნობილი არ არის. უხსოვარი დროიდან გასაკუთრებით გავრცელებული იყო: რქაწითელი, თითა, თავკვერი, საფერავი, შავი ბუდეშური, ხიხვი, კუმსი, ხარისთვალა, მწვანე, გავაზური, შირაზული.

ქართლში გავრცელებული ყოფილა 40 ჯიშის ვაზი. ქვემო ქართლში: საფერავი და მწვანე.

შიდა ქართლში- ძელშავი, ხარისთვალა, შავთითა, საფერავი, დიღმური, რქაწითელი, თითა, მწვანე, ჩინური.

მესხეთში ხუთი ჯიშია დადასტურებული: თითაყურძენი, ხარისთვალა, ცხენისძუძუ, საღვინე, ბუდეშური.

იმერეთში 42 ჯიშია აღწერილი: მათ შორისაა ძელშავი, თითა, მელისკუდა, მწვანე, მაღლარი, თეთრი ბუდეშური, კრახუნა.

ვაზი, ღვინო, მარანი

რაჭაში 59 ჯიშია ცნობილი: ძელშავი, რკო, ფეროვანი, საფერავი, ალექსანდროული, რცხილა, ალადასტური, სამაჭრია, ხოტევური, ოყურეშული, რქაწითელი, ხიხვი, მცვივანი, თითა, ცხენისძუძუ, თეთრა, კახურა, უსახელო, სალმეველა, ციცქა, ცოლიკაური, კრახუნა.

ლეჩხუმში შემორჩენილია სულ 36 ვაზის ჯიში: საფერავი, ოჯალეში, ალექსანდროული, ალადასტური, უსახელური, რქაწითელი, ხიხვი, ყუნწმაგარა, თითა, კახურა, თეთრა, თეთრაწმინდა.

სამეგრელოში აღწერილია 53 ვაზის ჯიში. მათ შორის: ხარდანი, შონური, ანუსვანური, ოჯალეში, აკიდო, ტოროკუჩხი, დედოფლის კითი, სამაჭრო, ტუტაში, პუმპულა, კეთილური, კიკაჩა, მწვანე, სერდაგი, ჩეკოლოში, ცხინკიღური.

გურიაში 59 ვაზის ჯიშია შემორჩენილი. ძელშავი, ხემხო, აკიდო, მტევანდიდი, ხარისთვალა, ღორისთვალა, შავყურძენა, ჩხავერი, ალადასტური, თითა, მწვანე, საკმეველა, კლარჯული, კაკაჩაი.

აჭარაში 26 ჯიშია დაფიქსირებული ხარისთვალა, ცხენისძუძუ, ჩხავერი, ჯინეში, საწური, ჭოდი, შავი ყურძენი, შავშური, ხოფანური, კლარჯული, მწვანე, ბაღის ყურძენი, ხავერდული, მელისკუდა, სორექი, გორგოული.

შავშეთ-კლარჯეთში გადარჩენილია ვაზის 26 ჯიში: ბუტკო, ცხენისძუძუ, შიშველი,საფერავი, ხალთური, ახალაკი, ჯინეში.

დასასრული მე-3 გვერდზე

2012 წლის 1 ოქტომბერს

საქართველოს პარლამენტის არჩევნებია!

№11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები:

1. ბალლითაშვილი გია –

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“ – №5

2. მისუროძე დავითი –

„ახალი მემარჯვენეები“ – №24

3. ხიდაშელი თინათინი –

„ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“ – №41

4. ანაგული ალექსი –

„ქართული დასი“ – №23

5. ცხვარიაშვილი ფანფა –

„კახა კუკავა – თავისუფალი საქართველო“ – №1

6. ოგოლაშვილი გიორგი –

„გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“ – №10

7. მჟელიშვილი თეიმურაზი –

„შალვა ნათელაშვილი – ლეიბორისტული პარტია“ – №38

ის, რაც ქართულია

მარანი

რა ვიცით „მარან“-ის შესახებ

დასასრული

მარანი ღვინის დაყენებისა და მისი მოწყობილობისათვის განკუთვნილი ნაგებობაა, რომელიც ქართულ მეღვინეობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ტერმინი „მარანი“ მოხსენიებულია ისტორიულ წყაროებში. სვანურ ხელნაწერში, რომელიც მერვე-მეცხრე საუკუნეებს ეკუთვნის, ნათქვამია: „და ჩ ნცა საყუარელნო, მარანსა მას მაცხოვრისასა მი“... ეს ტერმინი გვხვდება მეთერთმეტე საუკუნის ნიკორწმინდის სიგელში: „შევქმენ საწირეს... მარანი მუხისა : ა : და დავჰფალ მარანსა შ ა ჭური“...

სახელწოდება „მარანი“ საბას საღვინე სახლად აქვს განმარტებული-„მარანი საღვინე სახლი“.

ტერმინი „მარანის“ შესახებ გარკვეული მოსაზრებებია გამოთქმული.

აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, მ ა რ უკავშირდება სამარხს.

ს ა მ ა რ ი ს ადგილია, სადაც იმარხება მარები, მას დადასტურებული აქვს, რომ მ ა რ თიხის დიდ ქვევრს ეწოდება, რომელშიც ძველად მიცვალებულებს მარხავდნენ. ამრიგად, მარანი ის ადგილია, სადაც მარები, ქვევრებია დამარხული.

დასავლეთ საქართველოში, სადაც ნიადაგი ტენიანია, მარანს შედარებით მშრალ, წყლისგან მოშორებულ ადგილას აშენებდნენ. აღმოსავლეთ საქართველოში კი მარნის ასაგებად ქვიშნარს ირჩევდნენ, რადგან ქვიშნარი სინესტეს ინახავდა და ღვინოც სიგრილეში უკეთესად ინახებოდა. თიხნარი ნიადაგი სამარნედ არ გამოდგებოდა, რადგან იგი მშრალი და ამდენად „ფიცხი“ იყო.

აღმოსავლეთ საქართველოში, მარნის მშენებლობის დროს, არჩევდნენ მოხერხებულ გეოგრაფიულ მდებარეობას, მარანი უნდა მოწყობილიყო სახლის აღმოსავლეთით ან ნაგებობათა შორის, რადგან იცოდნენ, რომ დილით ამოსულ მზეს ძალა აქვს და მარანს რომ უყურებდეს, ღვინოს წაახდენსო.

ახალ ქვევრებს ახურებდნენ, შიგ ათავსებდნენ ბურბუშელას და ცეცხლს უკიდებდნენ. ქვევრის გაწმენდის შემდეგ გამდნარ ქონს ასხამდნენ და გაცხელებულ ქვევრს მსუბუქად აქანავებდნენ, რათა ქვევრის კედლებს ქონი კარგად შეხებოდა. გამდნარ ქონში სხვადასხვა სურნელოვან მცენარეებს (დარიჩინი, კომშის ფოთლები) ურევდნენ. ამრიგად დამზადებულ ქვევრებს მარანში ათავსებდნენ, გარშემო კი ქვიშა-კირით ამოაშენებდნენ.

1887 წელს გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე ი. ჭავჭავაძე აღნიშნავდა: „ჩვენში უფრო ბევრგან ფარღალალა მარნებია, ხშირად მარტო წალმით არის დახურული, ბევრგან უკედლებოცაა... ამისთანა მარანი უშიშია ადამიანისათვის და ამას არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს. დახურულს, ყოველის მხრით შეკრულ მარანს, თუ სარდაფს დუღილის დროს დიდი სიფრთხილე უნდა, თორემ შეიძლება კაციც შეიწიროს“.

ვაზი, ღვინო, მარანი

ქართული მარანი

საქართველო, განსაკუთრებით კახეთი, უძველესი მევენახეობა – მეღვინეობის სამშობლო იყო და მარანიც კლასიკური გაგებით, მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მთავარი ატრიბუტი იყო.

მართალია, თანამედროვე საქართველოში მარანმა ერთგვარი სახეცვლილება განიცადა და დღეს, როგორც ყურძნის გადამამუშავებელმა და ღვინის დაყენების ქარხნებმა თითქმის წაშალა მარნის ტრადიციული, პატრიარქალური სახე, მაგრამ თანამედროვე და მომავალი თაობებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს- იცოდნენ ჩვენი წინაპრები როგორ აყენებდნენ ღვინოს იმ პრიმიტიულ ქართულ მარნებში, რომლებსაც ქართული ტრადიცია წმიდათა-წმიდა რელიქვიად მიიჩნევს. ყველა ქართველმა უნდა იცოდეს, რომ მარანი არამარტო ღვინის დასამზადებელ და დასაყენებელ საცავს წარმოადგენდა, არამედ იქ ზოგჯერ ჯვრისწერას, ნათლობასაც აღასრულებდნენ. ის იყო წმინდათაწმინდა ადგილი, სადაც ქართველი კაცი მთელი წლის ჭირნახულის – ხილის, ყურძნის და მევენახეობა-მეხილეობასთან დაკავშირებულ ხელსაწყო-იარაღებისა დაჭურჭლის შესანახ ადგილადაც იყენებდა.

გარდა ამისა, მარანი საცხოვრებელი სახლის შემდეგ ხალხური ტრადიციების მიხედვით წარმოადგენდა რელიგიური წეს-ჩვეულებების სარიტუალო ადგილსაც და ეს ტრადიცია მომდინარეობდა თვით წარმართული დროიდან.

უძველესი დროიდანვე, ქართულ ტომებში, ცხოვრების ღირსშესანიშნავ მომენტებში, როგორიცაა ბავშვის დაბადება, ნიშნობა, ქორწილი, დასაფლავება, საოჯახო და საზოგადოებრივი დღესასწაულები, ისმებოდა ღვინო, რაც დაკავშირებული იყო იმ უძველეს წარმოდგენებთან ყურძნის წვენზე, როგორც ღვთიურ, წმინდა სასმელზე. არმართობიდან მომდინარე ეს წარმოდგენა ყურძნის წვენზე, ქრისტიანულ ეპოქაშიც გაგრძელდა და ღვინო მიჩნეულ იქნა ქრისტე მაცხოვარის სისხლად. ქართველურ ტომებს ასეთივე წარმოდგენა ჰქონდათ პურზე, რომელიც მიჩნეული იყო არამარტო კვების მთავარ კომპონენტად, არამედ ღვთიურ წარმონაქმნადაც.

ქართული, ქრისტიანული ტრადიციით პურ-ღვინო მიჩნეულია ბიბლიურ მთავარ საკვებ პროდუქტად, ღვინო როგორც იესო ქრისტეს სისხლად, პური, როგორც იესო ქრისტეს ხორცად.

როგორც ისტორიული წყაროები და ქართული ტრადიცია გვაუწყებენ, გარეკახეთი, ისტორიული კუხეთი მიჩნეულია ქრისტიანობის გავრცელების ერთ-ერთ უპირველეს არეალად, სადაც მოციქულთა სწორმა წმიდა ნინომ ღვთისმშობელი მარიამის შთაგონებით, ქრისტიანობაზე მოაქცია აქაური ქართული ტომები. აქ წმიდა ნინოს დახვდა ეკონომიურად მომძლავრებული, რიცხვმრავალი მოსახლეობა, უაღრესად განვითარებული მევენახეობა-მეღვინეობით, მესაქონლეობითა და მემინდვრეობით. აქ ღვინის მარნები ერთგვარ წარმართული სალოცავების ფუნქციასაც კი ასრულებდა. გიგანტურ ქვევრებში იწურებოდა როგორც საფერავი, ისე რქაწითელი და მწვანე. ყველაზე საპატიო ადგილი ჰქონდა მიჩენილი ღვთაებათა და წმინდანებისთვის ღვინის შეწირვას. შეწირულ ღვინოსა და პურს ათავსებდნენ სპეციალურ სათავსო ჭურჭლებში, რომელსაც **ზ ე დ ა შ ე** ეწოდებოდა.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში სპეციალურად შევისწავლე გარე-კახეთის ნასოფლარებსა და ხაშმის, მანავის, გიორგიწმინდის, პატარძეულის მიდამოებში უძველესი ნამარნალები, რომელთა ირგვლივ მიმოფანტული იყო გიგანტური ქვევრების ნამსხვრევები, უძველესი კრამიტისა და კერამიკული ნაკეთობების ნაშთები, რაც იმის უტყუარი დადასტურება იყო, – ჩვენს წინაპრებს ღვინის დამუშავებისა და შენახვის დიდი კულტურა ჰქონიათ.

ღვინის გადასამუშავებელი და შესანახი მარნები ჰქონიათ როგორც ცალკეულ კომლებს, ისე საგვარეულო თემებსა და პრივილეგიურ მიწათმფლობელებს, სასულიერო თუ საერო დიდებულებს. აი, ზოგიერთი ცნობებიც:

„საცივე მარანი“ მანავში – „ღვინო მანავისა კეთილი“, ასე იხსენებს ვახუშტი ბაგრატიონი მანავის ღვინის ღირსებას. მართლაც, რომ დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი მანავს, ვინაიდან „სხვა არ ისმებოდა, თუ არა მანავისა“ მეფეთა სუფრაზე. რასაკვირველია, ასეთი ღირსების ღვინოს ქვევრ-მარანიც განსაკუთრებული უნდა ჰქონოდა და ჰქონდა კიდეც. ასეთ ქვევრ-მარნად „საცივე მარანი“ ჰქონდა შემორჩენილი ხალხურ ხსოვნას.

„საცივე მარანი“ მდებარეობდა თოხლიაურისა და მანავის ჩრდილოეთით, ყოფილი „სამხედრო ბანაკის“ ტერიტორიაზე, სადაც ოდესღაც იტორიული სოფელი და ახლა ნასოფლარი „შავქედი“ მდებარეობს.

იმისათვის, რომ ღვინოს თავისი ღირსება წლის ყველა დროისათვის შეენარჩუნებინა, მარანი თეიმურაზ მეორეს ისეთ ადგილას აუშენებია, სადაც უხვად გამოედინებოდა მიწის წიაღიდან ცივი წყაროები. ეს წყაროები გარშემო უვლიდა ქვევრებს.. ამ „საცივე მარანში“ დროს გატარება უყვარდა მეფე თეიმურაზს და მის ვაჟიშვილს- პატარა კახად წოდებულ ერეკლე მეორეს..

ხალხური გადმოცემებით, სოფლებში- შავქედსა და თარაქში აუდგია ფეხი „პატარა კახს“.

„საცივე მარნიდან“ ამჟამად არაფერია დარჩენილი, გარდა ანკარა წყაროებისა და უღრანი ტყისა, თანამედროვე მანაველები კი სათუთად ინახავენ ამ წმიდა ადგილს, როგორც ისტორიულ რელიკვიას.

ყარაბულახის მარანი ხაშმში, ხაშმის სამხრეთით, შემაღლებულ ადგილას მდებარეობს ყარაბულახელი ჩოლოყაშვილების რეზიდენცია, შუა საუკუნეების ფეოდალებისათვის დამახასიათებელი სასახლითა და ციხე-კოშკებით დამშვენებული. აქ, ამ ადგილას არის შესანიშნავი ქართული მარანი, რომელშიც გიგანტური ქვევრებია. ამ ქვევრებს გარშემო უვლის ანკარა წყაროები, რომლებიც ამ ქვევრებში ჩასხმულ ღვინოს უნარჩუნებდნენ ქართული ღვინის ღირსებას. ამჟამად ჩოლოყაშვილების სასახლე და ქვევრ- მარანი რესტავრირებულია.

სოფელი ხაშმი და მანავი მიჩნეულია მევენახეობა-მეღვინეობის მთავარ და სანიმუშო ობიექტებად საქართველოში.

კარგად მოწყობილი მარნები ჰქონიათ ჩვენი რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ მონასტრებს – კაწარეთის სამებას, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და იოანე ნათლიმცემლის სახელობის ეკლესიებს ხაშმში, დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსებს-დავითის ლავრას, დოდოს რქას, იოანე ნათლისმცემლის სახელობისა და საგარეჯოში– პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიებს.

ალ. ელერდაშვილი,
ისტორიკოსი, კულტურის დამსახურებული მოღვაწე

ეთნოგრაფის კუთხე

მნიშვნელოვანი მოვლენები ჩვენს მუნიციპალიტეტში

სწავლა დაიწყო

გალამაზებულ შენობაში

განახლებული იერით, საზეიმოდ მორთული შეეგება ახალი სასწავლო წლის დაწყებას საგარეჯოს II საჯარო სკოლა. ზაფხულის არდადეგებზე აქ ფართო სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა, რითაც მთლიანად განახლდა შენობის I სართული.

განახლებულ სკოლაში ახალი სასწავლო წლის დაწყების ნიშნად შესრულდა სახელმწიფო ჰიმნი, აღიმართა საქართველოს წითელი ხუთჯვრიანი დროშა. სკოლის დირექტორმა ლელა ფანოზიშვილმა მოსწავლეებს მიულოცა ახალი სასწავლო წლის დაწყება, სწავლაში წარმატებები უსურვა და საქართველოს პრეზიდენტის საჩუქრები – ნეტბუქები გადასცა სკოლის 20 პირველკლასელს.

საზეიმო ღონისძიებაზე სკოლის დირექტორმა გასული სასწავლო წლის წარჩინებულ და სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებულ მოსწავლეებს: ოთარ დრეიძეს, სოსო მატიაშვილს, ნიკა ხითარიშვილს, ოთარ ფარცვანიას, გიორგი ქურხულს, სალომე მღებრიშვილს, ნინი ხებრელაშვილსა და სხვებს გადასცა სიგელები.

ზეიმზე სკოლის მოსწავლეებმა სკოლისათვის გაწეული დახმარებისათვის და გამოჩენილი გულისხმიერებისათვის მადლობა გადაუხადეს გიგი ესაიაშვილს, გიორგი როსტიაშვილსა და გიორგი თუშიშვილს, ამავე სკოლის კურსდამთავრებულს, მუნიციპალიტეტის ყოფილ გამგებელს ბ-ნ გია ჩალათაშვილს. მათ ახალი გზა-სავალი დაულოცეს და სწავლაში წარმატებები უსურვეს სკოლის კურსდამთავრებულ, უკვე სტუდენტ მოსწავლეებსა და პირველკლასელებს. ზეიმი დაამშვენა მოსწავლეების: გოგა ასთავიშვილის, თიკა მარხვაშვილის, ნინი ქურხულის, ნიკუშა ნაკულაშვილის, ვაჟიკა თედიაშვილის, სალომე ქოქიაურის და სხვათა წაკითხულმა ლექსებმა, შესრულებულმა სიმღერებმა და ცეკვამ.

ახალი სასწავლო წლის დაწყების მაუწყებელმა ზარმა მოსწავლეებს სწავლისაკენ მოუხმო.

„რთველი – 2012"

ყურძნის ფასმა აიწია

წლევანდელმა კლიმატურმა პირობებმა გარეკახეთში რთვლის დაწყება დააჩქარა და ჩვენი გლეხობა კვლავ ჩვეული ყურძნის მოსავლის დაბინავების აუცილებლობის წინაშე დააყენა, განსაკუთრებით ისინი, ვისაც 18 აგვისტოს სტიქიამ ვენახები დაუზიანა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა როგორც სამთავრობო, ისე ადგილობრივ დონეზე. მუნიციპალიტეტის ყურძნის გადამამუშავებელ ქარხნებში შეუფერხებლად მიმდინარეობს ყურძნის მიღება-ჩაბარება. მასიური რთველი მუნიციპალიტეტში 17 სექტემბრიდან დაიწყო. პირველ რიგში ყურძნის გადამამუშავებელმა ქარხნებმა შედარებით ადრე შემოსული საფერავის ჯიშის ყურძენი მიიღეს, შემდეგ კი რქაწითელი და სხვა ჯიშის ყურძენი.

როგორც ჩვენთან საუბარში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა ალექსანდრე შათირიშვილმა აღნიშნა, წინა წლებთან შედარებით წელს საგრძნობლად არის გაზრდილი ყურძნის ფასები. თითოეულ კილოგრამ ყურძენში ჯიშების განუსხვავებლად მევენახეს ეძლევა 1 ლარი. აქედან 65 თეთრს მევენახეს უნაღდებს უშუალოდ ყურძნის ჩამბარებელი, 35 თეთრს კი სახელმწიფო, ვაუჩერის სახით, რომლის განახდება მათ საბანკო ანგარიშსწორების გზით შეუძლიათ. იმის გამო, რომ ყურძნის მიღება-ჩაბარების საქმეში ადგილი არ ჰქონდეს შეფერხებებს და რაიმე გაუგებრობას, გლეხობას რიგებში დგომამ არ მოუწიოს, ქარხნებში შექმნილია სპეციალური შტაბები, სადაც მორიგეობენ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და რაიონული შტაბის წარმომადგენლები. მოქმედებს ცხელი ხაზები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია ყოველგვარი გაუგებრობის მოგვარება. ასევე 5 ტონაზე მეტი ტევადობის ავტომანქანები ყურძნის ჩასაბარებლად იგზავნება გურჯაანის საქღვინმრეწვის ქარხანაში, სადაც ყურძნის ფასთან ერთად მევენახეებს ეძლევათ ტვირთის ტრანსპორტირების ხარჯებიც.

მართლმადიდებლობა

21 სექტემბერს აღინიშნა ღვთისმშობლის შობა

ყოვლადწმიდა ქალწული მარიამის გარეგნობა



ყოვლადწმინდა ქალწული მარიამის გარეგნობის აღწერილობა წმინდა ეპიფანესა და ნიკიფორე კალისტოსის ისტორიულ წყაროებშია დაცული. სიწმინდით აღსავსე მისი სული მუდმივად იყო გამოვლენილი მის სრულყოფილ გარეგნობაში. საეკლესიო მემატიანემ ნიკიფორე კალისტომ (XIVს.) შემოგვინახა წმინდა გადმოცემა, რომელშიც ნათქვამია: „ღვთისმშობელი საშუალო სიმაღლის (სხვანი მიიჩნევენ – საშუალოზე ოდნავ მაღალი) იყო; თმა ოქროსფერში გადასდიოდა; ჰქონდა ზეთისხილისფერი სწრაფი თვალები, ნათელი გამოხედვა; ნელშავი რკალისებრი წარბები, ოდნავ მოგრძო ცხვირი; ბაგე – ნეტარი, კეთილხმოვანი; სახე არამრგვალი; გრძელი, მშვიდი ხელის თითები... საუბარში ყოველთვის კეთილგანწყობილებას ინარჩუნებდა, არც გაიცინებდა და არც გაგულისდებოდა; მისთვის უცხო იყო ყოველგვარი ნებიერობა და მოჩვენებითობა, იგი ყოველთვის უბრალო, ალალ-მართალი და უყვედრებელი იყო, მასში აშკარად შეიმჩნეოდა სასოება და ღვთისმორჩილება. მისი ჩასაცმელი ფერთა ბუნებრიობით გამოირჩეოდა, რასაც ნათლად მოწმობს ხატებში წარმოდგენილი მისი შესამოსელის ფერები. მოკლედ რომ ვთქვათ, ყველა მისი ქმედება უდიდესი მადლით იყო გასხივოსნებული“. ნიკიფორე კალისტომ ეს მასალა წმინდა ეპიფანე კვიპრელი ეპისკოპოსის (+403წ.) წერილებში მოიპოვა.

ყველა თანამედროვე, ვინც მისი ხილვის ღირსი გახდა, მოწმობს, რომ მისი გარეგნობა საოცარი სილამაზით გამოირჩეოდა. დიონისე არეოპაგელმა ღვთისმშობელი უკვე ხანდაზმულობისას იხილა. დიონისე ამ შეხვედრის შესახებ პავლე მოციქულს მოუთხრობს და ამბობს, რომ მისი გონება და გული წმინდა ქალწულის ღვთაებრივი სილამაზის ხილვით მოუძლურდა და რომ არ სცოდნოდა, ღმერთი ერთია, ისევე სცემდა მას თაყვანს, როგორც ჭეშმარიტ ღმერთს.

ტანსაცმელი ყოველგვარი ფუფუნებისგან თავისუფალი და მოკრძალებული ემოსა ღვთისმშობელს. ნაბიჯი დიდებული და მტკიცე ჰქონდა, მზერა სერიოზული და საამო, საუბარი მშვიდი, რომელიც უბოროტო გულიდან მოდიოდა, ურთიერთობა – ბუნებრივი და უბრალო, ღვთაებრივი სულის მთელი მშვენიერება მის სხეულზე იყო აღბეჭდილი. მაგრამ გარეგნული სილამაზე წარმოადგენდა მხოლოდ გამჭვირვალე საფარველს, რომელშიც მისი გონებისა და სულის უხრწნელი მშვენიერება ბრწყინავდა. ყოველ საქმეში იგი მოკრძალებულ დიდებულებასა და უმანკოებას ავლენდა. ის ამქვეყნად დედათა შორის უდიდებულესი და უმშვენიერესი იყო. იმიტომ, რომ იგი იყო წმინდა ქალწული, მარტო სხეულით კი არა – სულითაც. რადგან მის სახეში თავმოყრილი იყო მადლის მთელი საუნჯე. ვიმეორებ წმინდა მამათა სიტყვებს: „ჭეშმარიტად, წმინდა ქალწულში მხოლოდ მისი სხეულის უხრწნელობა და სიწმინდე კი არ განგვაცვიფრებს, არამედ სულის განსაკუთრებული სრულყოფილება“. ყველა მისი სურვილი ერთი მიზნისკენ იყო მიმართული. სიძულვილს მხოლოდ ცოდვისადმი განიცდიდა. ის გულით მშვიდი იყო, საუბარში კეთილგონიერი, ცოტას და მხოლოდ აუცილებელს ამბობდა, კითხვაში მონდომებული, ყოველთვის შრომისმოყვარე, ყველაზე მზრუნველი, იგი მსაჯულად ადამიანს კი არა, ღმერთს თვლიდა. ღატაკთა და ტანჯულთა მიმართ მოწყალე, დახმარებაზე უარს არავის ეუბნებოდა. მისი უანგარო მორჩილება და ღმერთზე მინდობა, განუწყვეტელი ლოცვა, მძიმე განსაცდელთა უდრტვინველად დათმენა, ახლობლების მიმართ გულთბილობა თვით ზეციურ ძალებზე მაღლა აყენებდა. ყველა ქრისტიანი შესთხოვს ღვთისმშობელს შეწევნას. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი უდიდესი დედობრივი კადნიერებით მიმართავს თავის ძეს და ღმერთს და ამიტომ მის ლოცვას დიდი ძალა აქვს. ყოველივე შეერთდა ყოვლადწმიდა ქალწულში, რათა ჩვენთვის – ცოდვილთათვის ცხადი გამხდარიყო, თუ სად უნდა ვეძებოთ შეწევნა და შუამდგომლობა. ის სულიწმინდის ყოველგვარი ნიჭით იყო შემკული, მხოლოდ მას უგალობს ეკლესია: „მოწყალებისა კარი განგვიღე, კურთხეულო ღვთისმშობელო“...

მოამზადა სოფო თავაძემ

ჟურნალი „კარიბჭე“ №17 2012წ.

24 სექტემბერი — ქეთევან წამებულის ხსენების დღე

<u>თინათინ მღვდლიაშვილი</u>

წინადღე ჯვარის ამაღლებისა

დუმს ალავერდი. გარინდულა
ველი ალაზნის,
და მონატრება კლავთ გვირილებს,
თეთრი დედოფლის...
ოცნებასავით ჩამომჯდარა
მთაზე ნეკრესი,
ცივ-გომბორს შუბლზე შემოუწნავს
ვაზის გვირგვინი
და უსასრულო მოლოდინით
გადაქანცული, შირაზს გაჰყურებს...
ო, მუხრანელო ქალბატონო, უსათნოესო,
კახეთის ცაზე იღვენთება შენი ხატება,
რაღაც სხვაგვარი გაქვს ბრწყინვალება
და
საქართველოს ისტორიის
მრუმე ტილოს აფერადებ
მკრთალი თითებით.
ო, მუხრანელო წამებულო,
პირმშვენიერო,
ნუშის ყვავილის გქონდა სინაზე
და მზეს ირანის
ვით შეეჭიდე, უნაზესი,
სუსტი მკლავებით...
„მამაო ჩვენო, რომელი ხარ
ცათა შინა...“-
ჩურჩულებდი ცხელი შანთით
მკერდდაფლეთილი
და მაცხოვრისკენ ხელგაწვდილი
ლოცულობდი თავდავიწყებით.
„...და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა,
არამედ
მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან...“-
ღაღადებდი ქრისტეს რწმენით
ამაღლებული
და როგორც ნუში, ქარიშხალთან
შეჭიდებული,
იძარცვებოდი მიწიერი სამოსელისგან...
და იდგა წელი სულიერი გამარჯვებისა,
და იდგა წელი წამების და
მსხვერპლად შეწირვის,
და გრემის ტაძარს მეწამული
ადგა ღრუბელი...
არ არს წამება გაუძლისი
დედოფლისათვის,
არ არს წამება გაუძლისი
სამშობლოსათვის,
არ არს წამება გაუძლისი
ქრისტეს სჯულისთვის!
გვიქადაგებ გრასას ტაძრის
დანგრეული კაპიტოლიდან.
ო, დედოფალო, ბედისწერამ ინება ასე,-
შირაზის მზის ქვეშ განაწამებს
მცხუნვარე გოას დაგირბიეს
უწმინდესი ძვალთშესალაგი...
დუმს ალავერდი. გარინდულა
ველი ალაზნის,
და მონატრება კლავთ გვირილებს,
თეთრი დედოფლის...
ოცნებასავით ჩამომჯდარა
მთაზე ნეკრესი,
ცივ-გომბორს შუბლზე შემოუწნავს
ვაზის გვირგვინი,
ისპაანს წასულ ორი ბოკვრის
ტანჯავს წუხილი
და ქეთევანის მოლოდინით
გადაქანცული, შირაზს გაჰყურებს...
და იყო წელი ათასექვსასასოცდაოთხი,
ენკენისთვისა,
წინადღე იდგა პატიოსნისა
და ცხოველმყოფლისა
ჯვარის ამაღლებისა,
ენკენია, რომელ არს ხსენებაი
ქრისტეს აღდგომის
წმიდა ტაძრის განახლებისა
იერუსალიმში,
დიდმოწამისა, საქართველოს მნათობისა,
კახეთის
დედოფლისა, ქეთევანისა..

19 წელი გავიდა სოხუმის დაცემიდან. 19 წელია ეს ტკივილი არ შორდება ქართველ ერს და იმ ბიჭებს (დღეს უკვე შეჭაღარავებულებს, თმაგათეთრებულებს), ვის გვერდითაც ქართული გენოფონდის გამბრძოლებლები სამშობლოს, ძმობას, ქართველობას შეეწირნენ, ვისი სახელიც არ ავიწყდებათ და ყოველი დღე მათზე მოგონებებით იწყება და მთავრდება. გთავაზობთ ნაწყვეტს იმ დღიურიდან, რომელშიც ერთი ჩვენებური მანაველი – ვაშა ქიტიაშვილიცაა მოხსენიებული. ვაშას უგზო-უკვლოდ დაკარგვის დარდს გადაჰყვა დედამისიც, ქალბატონი მაყვალა. თუმცა მამამისს და ერთადერთ დას მაინც აქვთ იმედი ვაშას გამოჩენისა... ვინ მოსთვლის, რამდენ ვაშასნაირად ომის გზებზე გაუჩინარებულ შვილს, ძმას, მეუღლეს, მამას ელოდება დღესაც ქართული ოჯახი...

<u>27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა</u>

„ო�sა ისინი“...

ნაძვის ხე ჩვენც დავდგით შტაბში. ვაზნებითა და რაკეტებით მოვრთეთ. აგუძერაში გიას ბიჭებთან ერთად ვაპირებთ ახალი წლის შეხვედრას. სუფრაზე იქნება ტუშონკები და არაყი. თბილისში შვებულებით წასული ვაჩე, ზურა ვაჩაძე და რუსთაველი ჯმუხა დღეს, 31–ში, მოულოდნელად უკან დაბრუნდნენ. კაცები არიან. მე რა წამიყვანს აქედან, ასეთ წუთებში სანგრის ძმობა წონის ოჯახის მონატრებას. ვაჩემ თბილისიდან გაზეთი ჩამოიტანა. წინასაახალწლო რეპორტაჟი გაუკეთებიათ ჟურნალისტებს. ჩვენი გიო ახობაძის სიტყვებს კითხულობენ ბიჭები ხმამაღლა. გიო ვერ უძლებს და ოთახიდან გადის. მთვრალი ვიყავი, ბიჭო, ეს რაები მილაპარაკიაო. არადა, კარგად ულაპარაკია, თავჩაღუნულები ვუსმენთ გიოს მონოლოგს:

„მესამე წელია, შობა–ახალ წელს სროლით ვხვდები ტყეში, ვერც წავალ ვერსად. სამშობლოს სიყვარულს მირჩევნია ძმობის სიყვარული. ომში შეძენილი სიყვარული, მით უმეტეს. მოკლული მეგობრების სისხლი მაქვს ასაღები. მათ საფლავებზე პირნათლად ვარ მისასვლელი. ომიდან დაღუპული ძმების ხსოვნის გამო ვეღარ მივდივარ. თორემ... დააგდე იარაღი და წადი. შენც სხვებივით კარგად იცხოვრე. მარტო ჩემია ეს საქართველო? ჯარისკაცებს ერთმანეთის გაცნობა აღარ გვინდა. არ მინდა, ახალი ნაცნობი მომიკვდეს. ჩემს ოთახში რომ შემოხვიდე, გალერეა გეგონება. კედელზე ადგილი აღარ არის, იმდენი დაღუპული მეგობრის სურათი მაქვს ჩამოკიდებული. შინ რომ დავბრუნდები, მათ სახელზე წყაროს გავიყვან. შინ რომ დავბრუნდები? დავიბან, ვჭამ, დავიძინებ, გავიღვიძებ, ეზოში გავალ, ბიჭებს ვნახავ. მერე თბილისში გამოვალ – ყველას ვნახავ. როგორ მენატრება თბილისი. საშინელებაა, როცა საყვარელ ქუჩებში თავისუფლად ვერ გამივლია. უამრავი მტერი შემაძენინეს. ხალხი მახოცინეს. ბავშვობა გამიმწარეს, 17 წლისა მკვლელად მაქციეს. კანონიერ მთავრობას რომ ვიცავდი, ახლა მე ვინ დამიცავს? დაცვა და სტიმული კი არა, ყველა ჩვენ გვლანძღავს, –დან დაწყებული, ჩვენი მოყვანილი მთავრობით დამთავრებული.

ვჭირდებით კი ვინმეს, მოგვიხსენიებს კი ვინმე?

გაიხსენებენ ზაზა ბენდელიანს, რომელიც ტამიშის აღების დროს ჩვენი სამშვიდობოზე გაყვანის მიზნით დანაღმულ გზაზე გავარდა და აფეთქდა?

რეზო ასათიანს, რომელმაც ბრძოლის ველიდან, ტყვიების ზუზუნში, ოთხი დაჭრილი გამოიყვანა, თვითონ კი მოკვდა;

ვოვა სელეპანოვს, რომელმაც ტყვედ ჩაბარებას სიკვდილი არჩია;

თორნიკე შიუკაშვილს, რომელიც, ოთხგან მძიმედ დაჭრილი, მისივე დაყინებული თხოვნით, მეგობრებმა ხელში აყვანილი ბმპ–ში ჩასვეს, ალყა რომ გაერღვია, ჩვენ რომ დავეხსენით, თვითონ კი ბმპ–ში აფეთქდა;

ჩვენს გმირ ჯიმი მაისურაძეს, რომლის ვერტმფრენს მტერიც კი სცნობდა და სულ ახლახან, ვლადიმიროვკასთან, კოდორის გასწვრივ, ფერფლად იქცა;

ლევან აბაშიძეს, რომელმაც მომაკვდავ, ტკივილებისაგან გაწამებულ აფხაზს წამალი მისცა, ერთი საათის მერე კი თვითონაც დაიღუპა;

20 წლის <u>**ვაშა ქიტიაშვილს,**</u> რომელიც <u>**გაგრასთან**</u> გმირულად დაეცა და უკვალოდ დაიკარგა; მასავით უგზო–უკვლოდ დაკარგულ ბიჭებს; შრომასთან გაწყვეტილ ავდანელებს;

ლია ტოკლიკიშვილი

მამულიშვილი – საგარეჯოს ღირსეული შვილი

ძვირფასო მკითხველო, ამ რუბრიკის ქვეშ დღეიდან გთავაზობთ ჩვენი თანამემამულის მიერ ღირსეულად გავლილი გზის გახსენებას, რომელიც ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს ნათლად დაანახვებს მათ ღვაწლს და კიდევ ერთხელ შეახსენებს „ვისი გორისანი“ ვართ, საიდან მოვდივართ, რა უთესია ჩვენს წინა თაობებს და რას ვიმკით ახლა... იქნებ მათ მიერ გაკვალულ გზა-ბილიკს სხვებიც გაჰყვნენ – კაცურად, ქართველურად, მართლ-მადიდებლურად?!

ანზორ ზურაბაული – ქართული ჭიდაობის და სამბოს დიდოსტატი

ვოთა ზუკაიშვილი – საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი: „...ისეთი ტექნიკური ქართულის მოჭიდავე, როგორც ანზორ ზურაბაული იყო, მე მგონი, საქართველოში არც კი ყოფილა. იგი იყო ქართული ჭიდაობის ნამდვილი დიდოსტატი!”

– გარეჯის მიწამ, საგარეჯომ ბევრი სასახელო მამულიშვილი აღუზარდა მსოფლიოს, საქართველოს თითქმის არ არსებობს დარგი, სადაც საგარეჯოელებს მსოფლიოს, ქვეყნის მასშტაბით არ ეოქვათ თავიანთი სიტყვა საგარეჯომ განსაკუთრებით სპორტით გაითქვა სახელი, უფრო სწორედ–ჭიდაობით.

ქართველ ფალავანთა ბრწყინვალე გამარჯვებებში ოლიმპიურ სარბიელზე, მსოფლიოს, ევროპის, საერთაშორისო, საკავშირო თუ ეროვნულ ჩემპიონატებში– საგარეჯოს მუდამ გამორჩეული ადგილი ეკავა და დღესაც წარმატებით გრძელდება ეს ტრადიცია. საგარეჯოს ჭიდაობის სკოლა იყო და არის ერთ–ერთი წარმატებული სკოლა. მსოფლიოს ლეგენდარულ ფალავნებს – არსენ მეკოკიშვილს და ლევან თედიაშვილს გვერდს უმშვენებენ სახელგანთქმული მოჭიდავეები: მიხა ქურხული, შალვა გზირიშვილი, არჩილ ონაშვილი, ნიკა ბუზარიაშვილი, იოსებ გრატიაშვილი, თენგიზ და მურთაზ ელერდაშვილები, გოგი გზირიშვილი, გივი ონაშვილი, ბიჭიკო მარიდაშვილი, სპარტაკ ქარსაულიძე, ვაჟა და როინ ქაიხოსროშვილები, კობა კუპატაძე, მამუკა კურღელაშვილი, ნუკრი გაგნიაშვილი, უშანგი კუზანაშვილი, დავით ხუციშვილი, ანზორ ზურაბაული და სხვები.

ანზორ ზურაბაული ერთ–ერთია მათ შორის, ვინც წარუშლელი კვალი დატოვა მსოფლიო და ქართული სპორტის ისტორიაში და დღემდე, უფრო სწორედ 2007 წლამდე, მიუხედავად ჭარმაგი ასაკისა– 72 წლის ასაკშიც (დაბადებულია 1935წ.) წარმატებით გამოვიდა საჭიდაო ხალიჩაზე, ანცვიფრებდა მაყურებელს თავისი ოსტატობით, გამოცდილებით, ახალგაზრდული შემართებით, მონაწილეობდა რა ვეტერან–სამბისტთა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში. განცვიფრებაში მოდიხარ, როცა ათვალიერებ სპორტულ სარბიელზე მოპოვებულ მრავალრიცხოვან (ასზე მეტი) ჯილდოებს, მედლებს, პრიზებს, სიგელებს, რომლებსაც საპატიო ადგილი უკავიათ საკუთარ სახლში მოწყობილ სპეციალურ სტენდზე! ბევრი ქვეყნის ნაკრებს ერთად აღებულს არ ექნებათ მოპოვებული ამდენი სპორტული ნადავლი, რაც ანზორს აქვს მოპოვებული.

გვესაუბრება ანზორ ზურაბაულის სიყრმის მეგობარი, თანაკლასელი, თანაკურსელი, თანაგუნდელი, თანაქალაქელი– საკავშირო პირველობების (სამბო) პრიზიორი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობასა და სამბოში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **ბიჭიკო მარიდაშვილი:**

– ანზორ ზურაბაული– ფშაველი კაცი (წარმოშობით მისი წინაპრები არიან ახმეტის რაიონიდან) საგარეჯოშია დაბადებული და გაზრდილი. უწინ საგარეჯოში, ეკლიანი მავთულხლართებით შემოღობილ მაღალი ფიცრულის შიგა წრეში, ნახერხმყრილ საჭიდაო მოედანზე სახელგანთქმული, მრავალნაცადი ფალავანი, ქართული ჭიდაობის ერთ–ერთი პატრიარქი შალვა გზირიშვილი ახალბედა პირტიტველა ბიჭებს, მომავალში ცნობილ მოჭიდავეებს ქართული ჭიდაობის ხერხებს ასწავლიდა და ერთმანეთთან აჯიბრებდა. ეს პატარა ბიჭები მომავალში გახდნენ ცნობილი მოჭიდავეები – ანზორ ზურაბაული, ბიჭიკო მარიდაშვილი, ბიძინა და თამაზ კევლიშვილები, გურამ სონიშვილი, მიშა არჩუაძე, იაგო მათიაშვილი, გივი ტაბატაძე, კაკო მათიაშვილი, ილია ქვლივიძე, რობიზონ დიდმელაშვილი, გუგული (ქოთუა) კუჭუაშვილი, ამირან ქურხული („ჩაჩის”ბიჭად წოდებული) გოგი გზირიშვილი, სპარტაკ ქარსაულიძე, ვაჟა ქაიხოსროშვილი („ზღვის ქაფად” წოდებული) სულიკო ზალიკაშვილი, ზაური ქურხული, როინ ქაიხოსროშვილი და სხვები.

შალვა გზირიშვილს უდიდესი წვლილი მიუძღვის საგარეჯოელი მოჭიდავეების სპორტულ დაოსტატებაში. 1952 წლიდან საგარეჯოელ ნორჩ ფალავნებს,მათ შორის ანზორისაც ავარჯიშებდა ლეგენდარული ლევან თედიაშვილის პირველი მწვრთნელი ვანო მეკოკიშვილი (ძირითადად ის ავარჯიშებდა თავისუფალ ჭიდაობაში). ანზორის სპორტულ დაოსტატებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით საგარეჯოს № 1 საშუალო სკოლის ფიზიკურზრდის მაშინდელ მასწავლებლებს ვალიკო ოდიკაძეს და ვიქტორ გარსიაშვილს. ისინი ავარჯიშებდნენ მძლეოსნობასა და ტანვარჯიშში. შაბათ–კვირას ნახერხმყრილ საჭიდაო არენაზე უამრავი ხალხი იკრიბებოდა მეზობელი სოფლებიდან. გიორგიწმინდიდან, ნინოწმინდიდან, პატარძეულიდან, მანავიდან, კაკაბეთიდან, ჩაილურიდან. მაყურებელთა პირველ რიგში თავის განუყრელ პატარა სკამზე იჯდა საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის დირექტორი მიხეილ მანდარია და თავის მოწაფეს ანზორ ზურაბაულს ქომაგობდა. მანდარიას გარდა, ანზორის ჭიდაობის ხერხებს, მის „მოგვერდულს” ბევრი მოუხიბლავს. მისი ჭიდაობის მნახველი იყო პატარა საგარეჯოელი „ ქიტესა” ბიჭი, ლეგენდარული ლევან თედიაშვილი, რომელსაც შემდგომში ხშირად უთქვამს – ბევრი რამით ანზორს ვბაძავდიო.

–ანზორის გვარში თუ იყო ჭიდაობის ტრადიციები?

– საგარეჯოელ ფალავანს ანზორ ზურაბაულს ჭიდაობისადმი ლტოლვა გენიდანაც მოსდგამდა. პაპამისი ნიკა ბუზარიაშვილი (დედის მამა) სახელგანთქმული მიხა ქურხულის, შაშო ვერელის, კოსტა მაისურაძის, მიშიკო მაჩაბელის და სხვა წარსულში ცნობილი ფალავნების ტოლ–სწორი მოჭიდავე იყო. ბიძები „წარბა” (ნუგზარ) და ოთარ ბუზარიაშვილებიც საკმაოდ ცნობილი მოჭიდავეები იყვნენ.

– გარდა ქართულისა, რა წარმატებები ჰქონდა ანზორს თავისუფალ ჭიდაობაში, ძიუდოში, სამბოში?

– მსოფლიოში იშვიათია მოჭიდავე, რომელსაც ანზორისავით ერთნაირი წარმატებით ეასპარეზოს ჭიდაობის ოთხივე სახეობაში– ქართულში, თავისუფალში, ძიუდოში და სამბოში.

ანზორმა ქართულ ჭიდაობასთან ერთად ვარჯიში ჯერ კლასიკურში (ბერძნულ–რომაული) და მალევე თავისუფალში, ლევან თედიაშვილის პირველ მწვრთნელთან ვალიკო (ვანო) მეკოკიშვილთან გააგრძელა. 1953–1954 წლებში თავისუფალ ჭიდაობაში საოლქო პირველობაზე იასპარეზა, სადაც გამოდიოდნენ მირიან ცალქალამანიძე, გიორგი სხირტლაძე, აკაკი ნინიაშვილი... პარალელურად ქართულ ჭიდაობასაც არ ივიწყებდა. 1956 წელს თელავში ზონალური სპარტაკიადა მოიგო, 1957 წელს თბილისში ჩატარდა სპორტული ფესტივალი. ანზორმა ქვემძიმე წონაში (79 კგ.) პირველი ადგილი დაიკავა. ამ ტურნირის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვანმა რექტორმა, სპორტის დიდმა მოყვარულმა ნიკო კეცხოველმა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში” გამოაქვეყნა წერილი სათაურით „იმედის მომცემი ფალავანი”, რომელიც ანზორს ეხებოდა.

1957 წელს დაამთავრა საგარეჯოს პირველი საშუალო სკოლა, იმავე წელს ჩაირიცხა ფიზკულტურის ინსტიტუტში, რომლის რექტორმა, ანზორის აზრით, „ღმერთის მიერ გამოგზავნილმა” ბრწყინვალე პიროვნებამ, სპორტზე უზომოდ შეყვარებულმა საშა ფალავანდიშვილმა ანზორის მეურვეობა „ ლელო”–ს იმ დროის რედაქტორს ირაკლი უგულავას სთხოვა. თავისუფალ ჭიდაობაში მას ცნობილი მწვრთნელი მიხეილ თიკანაძე წვრთნიდა, ის ვარჯიშობდა ცნობილი ფალავნების გიორგი სხირტლაძის, გურამ საღარაძის, ანზორ გვიმრაძის, ზაურ მჭედლიშვილის, ვლადიმერ არსენიანის გვერდით. მის სპორტულ დაოსტატებაში დიდი წვლილი მიუძღვით აგრეთვე ფიზკულტურის ინსტიტუტის იმ დროის აღიარებულ პედაგოგებს შალვა ჩახნაშვილს (ფიზიოლოგია), აბო ნემსაძეს, ავთანდილ ციბაძეს (ისტორია), ს. ალიხანოვს, ნოდარი ოყროშიძეს (თავისუფალი ჭიდაობა), კ.თედეევს (ტანვარჯიში), მამია ჟღენტს (ძალოსნობა), ფელიქს ნავერიანს (თხილამურები) და სხვებს. 1960 წელს თბილისში ჩატარებულ ამიერკავკასიის პირველობაზე პირველი ადგილი დაიკავა, 1958–1970 წლებში 14–ჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში. 2–ჯერ გახდა საკავშირო სპარტაკიადის გამარჯვებული თავისუფალ ჭიდაობაში. 1961–1963 წლებში გამოდიოდა ძიუდოს საქართველოს პირველ ნაკრებში – მსოფლიოში ცნობილ ფალავნებთან – ანზორ კიკნაძესთან, დურმიშხან ბერუაშვილთან და ანზორ ქიბროწაშვილთან ერთად.



პირველი გამოსვლა ქართულ ჭიდაობაში თელავში ზონალურ პირველობაზე 1956 წელს მარცხით დამთავრდა, ლაგოდეხელ ასაკით უფროსთან, ცნობილ მოჭიდავესთან ანზორ კაპანაძესთან დათმო ორთაბრძოლა. ერთი თვის შემდეგ თელავში გამართულ სპარტაკიადის ზონალურ პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში რევანში აიღო ა. კაპანაძესთან შეხვედრაში, ხოლო ფინალში დაამარცხა იმ დროს აღიარებული მოჭიდავე ახმეტელი ლავროსი მაისურაძე. ამ გამარჯვების შემდეგ ანზორის თქმით „ჩავთვალე ჩემი თავი მოჭიდავედ!” ამის შემდეგ ანზორი შვიდჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში. სანამ ანზორი საქართველოს ფალავანი (აბსოლუტური წონა) გახდებოდა ქართულ ჭიდაობაში, 1957 წელს მოსკოვში გაიმართა მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალი, იქ წასვლამდე ჩატარდა საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში, სადაც ანზორმა დაამარცხა რა უძლიერესი მეტოქეები დავით ჩაჩანიძე (ლაგოდეხი), ზაქარია მუხიაშვილი (გლდანი), ი. რეხვიაშვილი (თელავი), კარლო უნდილაშვილი (მცხეთა), იოსებ კაჭარაზოშვილი (დედოფლისწყარო) – დაიკავა პირველი ადგილი. ასევე წარმატებით გამოვიდა მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალზე. 1959 წელს მოსკოვში გაიმართა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ეროვნული ჭიდაობების ფესტივალი. ქართული ჭიდაობის პრესტიჟს მაშინ ანზორ კიკნაძე, სიმონ მაისურაძე, სულიკო სულაშვილი და ანზორ ზურაბაული იცავდნენ. ქართველი მოჭიდავეები მრავალრიცხოვან მაყურებელს ქართული ჭიდაობის ოსტატობას უჩვენებდნენ. სპეციალურად წაყვანილ ხაჩიკ ტულგაუკოვის ცნობილ მედუდუკეთა ანსამბლის მიერ შესრულებული „საჭიდაო”–ს ცნობილი მუსიკის თანხლებით.

ამავე დროს ქართველმა მოჭიდავეებმა თავიანთი საჭიდაო ხელოვნება აჩვენეს საკავშირო სასოფლო–სამეურნეო მიღწევათა გამოფენაზე ამერიკის შეერთებული შტატების პავილიონში. მაყურებელს განსაკუთრებით ქართველ მოჭიდავეთა გამოსვლები მოსწონდათ და მოუთმენლად ელოდნენ მორიგ ქართულ ორთაბრძოლებს. 1958 წელს საგარეჯოში ჩატარდა ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ფალავნობა (აბსოლუტური წონა), რომელშიც მონაწილეობდნენ აღიარებული ოსტატები – ანზორ კიკნაძე, ბუღდან ბაღაკაშვილი, ამირან ვარდოშვილი, ანზორ ქიბროწაშვილი, გივი კახაბრიშვილი, გოგი გზირიშვილი და სხვები. ფინალში ანზორი ქულებით დამარცხდა ამირან ვარდოშვილთან. 1963 წელს საგარეჯოში გამართულ მორიგ ქართველ ფალავნობაზე – სადაც მონაწილეობდნენ იმ დროის საქართველოს უძლიერესი ფალავნები – ბუღდან ბაღაკაშვილი, გივი კახაბრიშვილი, ნოდარ ყაჩმაზაშვილი, გოგი გზირიშვილი, გ. მალვენიშვილი, ისიდორე მჭედლიძე, ა. გაურგაშვილი, ანზორ ქიბროწაშვილი და სხვა. ანზორმა ფინალურ შეხვედრამდე დაამარცხა გივი კახაბრიშვილი, გოგი გზირიშვილი, ნოდარი ყაჩმაზაშვილი, ისიდორე მჭედლიძე. ფინალში შეხვდა ქართული ჭიდაობის ცნობილ ოსტატს ბუღდან ბაღაკაშვილს, რომელიც სუფთად დაამარცხა და გახდა საქართველოს ფალავანი. გამარჯვება მიულოცეს ლეგენდარულმა გიორგიწმინდელმა გოლითმა, ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონმა თავისუფალ ჭიდაობაში არსენ მეკოკიშვილმა ,თავისუფალი ჭიდაობის პროფესორად აღიარებულმა , მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ვახტანგ ბალავაძემ..

დასასრული VII გვერდზე

ანზორ ზურაბაული – ქართული ჭიდაობის და სამბოს დიდოსტატი

დასასრული

ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატებები ანზორის ჭიდაობა სამბოში აქვს მოპოვებული. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში 1958 წელს იყო მესამე, 1959 და 1963 წლებში იყო მეორე პრიზიორი. იგი ტოლს არ უდებდა სამბოში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონებს – ჰენრიხ შულცს, ილია ციპურსკის, ა. კარაშუკს, ანატოლი იუდინს, ევგენი გლარიაზოვს, ა. კარელინს, პანკრატოვს და სხვებს. 1958–1970 წლებში 12–ჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი სამბოში. 1960 წელს პირველი იყო ამიერკავკასიის პირველობაზე. ორჯერ იყო სსრკ–ს პროფკავშირთა სპარტაკიადის ჩემპიონი სამბოში, 4–ჯერ მოიპოვა პირველი ადგილი სსრკ–ს თასზე სპორტსაზოგადოებებს შორის (გუნდურში). 1968 წელს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გამართულ მსოფლიო ფესტივალზე გახდა ჩემპიონი. ფინალში დაამარცხა ევროპის სამგზის ჩემპიონი ჰერმანი.

ჭიდაობა სამბოში ანზორის წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო მწვრთნელს ქრისტეფორე ნინიაშვილს. ანზორი სპორტის ოსტატია ქართულში, თავისუფალ ჭიდაობაში და სამბოში (ძიუდოში ოსტატის წოდება გვიან შემოიღეს). სსრკ–ს სტუდენტთა თამაშების სამგზის ჩემპიონია, 1968 წელს სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალის ჩემპიონია, საკავშირო სპორტსაზოგადოება „ დინამო"–ს ჩემპიონი, სხვა უამრავ საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული და პრიზიორი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში ანზორი ხშირად გამხდარა არაობიექტური მსაჯობის მსხვეპლი, თუმცა ახალგაზრდობაში დაკარგული ტიტულები „სიბერეში" აინაზღაურა თითქმის 72 წლის ასაკამდე იგი წარმატებით გამოდიოდა ვეტერან სამბისტთა მსოფლიო, ევროპის პირველობებზე. ასევე პანამერიკულ თამაშებზე 76 წლის ფალავანი ნახევარ საუკუნეზე მეტია ჭიდაობაშია. სიჭარმაგეში კვლავ საჭიდაო ხალიჩაზე გავიდა, როგორც აქტიური სპორტსმენი. იშვიათია ანზორის სპორტული დღეგრძელობის მაგალითი.



1966 წელს საფრანგეთის ქალაქ გოშში გამართულ ვეტერან სამბისტთა ევროპის პირველობაზე ფინალში დაამარცხა ფრანგი ვეტერანი სამბისტი და გახდა ევროპის ჩემპიონი. 2007 წელს ლიტვის ქალაქ პანევეჟესში გამართულ ვეტერან სამბისტთა ევროპის ჩემპიონატზე მოხდა საინტერესო შეხვედრა. ფინალში ანზორს შეხვდა ცნობილი ლიტველი ვეტერანი სამბისტი პეიკა, რომელსაც პირველად შეხვდა 1958 წელს საბჭოთა კავშირის პირველობაზე. როგორც მაშინ, ახლაც თითქმის 50 წლის შემდეგ ანზორმა დაამარცხა მეტოქე და მეორედ გახდა ევროპის ჩემპიონი ვეტერან სამბისტთა შორის.

1996, 1997, 1999 წლებში მალტას დედაქალაქ დე ლა ვალეტაში გამართულ ვეტერან სამბისტთა მსოფლიო პირველობაზე სამჯერ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. შემდეგ საფრანგეთის ქალაქ ნიცაში გამართულ ვეტერან სამბისტთა ორ მსოფლიო პირველობაზე – ანზორი კვლავ უძლეველი იყო და ადრინდელ სამ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ორიც დაუმატა და გახდა ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი. ანზორი ასევე დიდი წარმატებით გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქებში ლოურენსში და ნევარკში(ნიუ–იორკის შტატი) 1997–1998 წლებში გამართულ ვეტერან სამბისტთა პანამერიკულ თამაშებში, დაამარცხა რა კანადის, მექსიკის, რუსეთის, ყაზახეთის, აშშ–ს სხვადასხვა შტატების – ვეტერანი სამბისტები – ორჯერვე მოიპოვა პანამერიკული თამაშების ჩემპიონის სახელი.

2003 წ. საფრანგეთი ქ. ნიცა. მსოფლიო პირველობა ვეტერან სამბისტთა შორის, ფინალური ორთაბრძოლა. ანზორ ზურაბაული (სურათზე (VI გვერდზე) მარჯვნივ) მეხუთედ ხდება მსოფლიო ჩემპიონი.

– როგორც მწვრთნელს, მსაჯს რა შედეგები ჰქონდა?

– მსოფლიო პრაქტიკაში ალბათ ძნელად მოიძებნება სპორტსმენი, რომელიც ერთნაირი წარმატებით გამოდიოდა სპორტულ არენაზე, როგორც მოქმედი სპორტსმენი, ასევე როგორც მწვრთნელი და როგორც მსაჯი.

სხვადასხვა დროს ანზორი იყო საქართველოს ნაკრების (სამბო) უფროსი მწვრთნელი, როგორც ჭაბუკების ასევე დიდების. მისი თავკაცობით საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები 1993 წელს მინსკში გახდა ევროპის ჩემპიონი ხოლო დიდებმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ანზორ ზურაბაულის აღზრდილთა შორის არიან– სსრკ–ს ჩემპიონი სამბოში პაატა ბუზარიაშვილი, სსრკ–ს ჩემპიონატების პრიზიორი რამაზ ბუზარიაშვილი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი, საქართველოს ფალავანი კობა კუპატაძე, მსოფლიო თასის მფლობელი ნოდარ მანველიშვილი, ახალგაზრდებს შორის მსოფლიო პირველობის გამარჯვებული ნუკრი გაგნიაშვილი, მცირე ქვეყნების მსოფლიო პირველობების სამგზის გამარჯვებული გიორგი ჩხაიძე, ახალგაზრდებს შორის სსრკ–ს ჩემპიონატების გამარჯვებულები პრიზიორები ბადრი და ლევან ბასილაშვილები, მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის მამუკა კურდღელაშვილი, დავით სვიმონიშვილი და სხვები.

არის საკავშირო და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. 1997 წელს ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში გამართულ სამბისტთა მსოფლიო პირველობაზე საუკეთესო მსაჯობისათვის მას გადაეცა ოქროს სასტვენი. სხვადასხვა დროს იმსაჯა მსოფლიო პირველობებზე იტალიაში, რუსეთში და სხვ. იგი დასახელებული იყო XX საუკუნის მსოფლიოს საუკეთესო მსაჯთა სამეულში, ასევე ქართველ მსაჯთა და ვეტერან სამბისტთა საუკეთესო სამეულში!

– როგორი იყო და არის პირად ცხოვრებაში ოჯახი, მეგობრები...?

– შეიძლება თამამად ითქვას რომ ანზორი არის ქართული გენის ბრწყინვალეე წარმომადგენელი, რომელიც თავისი ფიზიკურიო თუ სულიერი სილამაზით არის პიროვნება რომლითაც ქართველებს თავი მოგვწონს და გვეამაყება არამარტო სპორტული მიღწევებით არამედ ვაჟკაცობით, კარგი კაცობით, ოჯახისშვილობით, საკუთარი ოჯახით მისაბაძია ყველასათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისათვის არის კარგი მეგობარი, ამხანაგი, შესანიშნავი ოჯახის მამა, პაპა – ჰყავს ბრწყინვალე მეუღლე ნათელა ჯალაღონია–ზურაბაული, ჰყავს ორი შვილი ლელა და მამუკა და ექვსი შვილიშვილი. ანზორის ვაჟი მამუკა ზურაბაული სპორტის ოსტატია სამბოში, საკავშირო სტუდენტური თამაშების ორგზის ჩემპიონი. შინ და გარეთ დამფასებელი და მოსიყვარულე არ აკლია სამართლიან და ღიმილიან ფალავანს.

– რა იყო ჭიდაობაში ანზორის პრინციპი?

– ჭიდაობაში „მოგვერდისტად" ცნობილი ზურაბაულის პრინციპი იყო– მეტოქის შემოტევის დროს კონტრილეთების გამოყენება, მეტოქე უნდა დაებნიო როკვითა და ცრუკომბინაციული მოძრაობებით, რომ შემდგომ ლაზათიანი ფანდი შეასრულო.

ამასთან ყველა ჩამოთვლილის გარდა ანზორი კაფიობის მოყვარულია, ნამუსიანი ღვინის დაყენების ოსტატიც, არის მეგობრებზე უზომოდ შეყვარებული კაცი, ქართული ჭიდაობის და სამბოს დიდოსტატი, ლეგენდარული და უბერებელი ფალავანი.

– ჩვენს შეკითხვაზე, თუ რა იყო მისი ცხოვრების მიზანი პასუხი ასეთი იყო: „ ...პირველყოვლისა მიზნად მქონდა დასახული ვყოფილიყავი პატიოსანი და სამართლიანი, შრომისმოყვარე, რაც გამოვლინდა ჩემი სამშობლოსა და ერის ერთგულებასა და სიყვარულში. ვფიქრობ, რომ დღემდე ასეთად დავრჩი! ყოველთვის მჯეროდა და მწამდა, რომ ქვეყნის სასარგებლოდ ყველაზე დიდი პოლიტიკაა აკეთო შენი საქმე! თუ როგორ ვაკეთე ჩემი საქმე ეს ჩემი განვლილი ცხოვრებიდან ჩანს!"

ღმერთმა უმრავლოს საქართველოს თავისი საქმის ერთგული ადამიანები.

თენგიზ კოგიაშვილი.

გიგა პაპას „სათნოების სახლში" მიეჩქარება

იმ ღამითაც ძილი გაუკრთა გიგა მარიდაშვილს, ოქროს შემოდგომის პირველი თვის – სექტემბრის I კვირაც უამინდოდ დაიწყო, თითქოს ჟინჟღლავდა კიდეც, მაგრამ თოხიც გაიგდო მხარზე და გეზი „ბურჯანაძეების ბაგებისკენ" აიღო. გაიარა ნასადგომარი და თვალი დაჟამირებულ მინდორს გადაავლო.

– ჰაი, გიდი, ჩემს ბალღობას აქ სიმინდის ბუდე იყო, ახლა კი... ამ მინდორზე სეტყვამ და გაუსაძლისმა გვალვამ მოსპო ყველაფერი, არც ბურჯანაძეების ბაგებს დაადგა სიკეთე...

უკან მობრუნებისას გიგამ ისე ამოიარა „კუნლიანი", რომ დანა პირს არ უხსნიდა...

– რა უნდა ქნას ხალხმა, სტიქიამ სულ მოუსპო წლის სარჩო-საბადებელი, გაუძნელდება ხალხს ზამთრის გადატანა... დახმარებებს კი არიგებს მთავრობა, მაგრამ ყველას ხომ არ გასწვდება. სახლში ამოსულმა გიგამ ყურადღებით ჩააყო ჩანთაში ჭურჭელი, ხელში ყავარჯენი დაიჭირა და „სათნოების სახლისაკენ" გაეშურა, – იქიდან მარაგდებოდა ერთჯერადი ულუფით მარტოხელა მოხუცი. იქ ეგულებოდა „სათნოების სახლის" დირექტორის დალი როსტომაშვილისა და მისი თანამშრომლების მზრუნველობა და ყურადღება.

ისევ ფიქრებმა წაართვა დღევანდელ ყოფაზე ზრუნვა და ბავშვობის წლები გაახსენდა. 4 წლის იყო, მამა რომ გარდაეცვალა და დედამ იტვირთა თავისი წვრილშვილის აღზრდა. მალე ომიც დაიწყო. პატარა გიგამ მეორე კლასი დაამთავრა თუ არა, სწავლას თავი დაანება და კოლმეურნეობის ხარების მეხრედ გაამწესა ბიძამისმა. დღეში ერთ პატარა მჭადს აძლევდნენ საზრდოდ თითისხელა ბიჭს. მერე ტრაქტორისტს მიაბარეს დამხმარედ („პომოშნიკად") და ტრაქტორისტის ხელობაც მალე აითვისა გიგა მარიდაშვილმა. გიორგიწმინდის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნეობად ითვლებოდა საგარეჯოს რაიონში და მისი თავმჯდომარე ქეთო გოდერძიშვილიც ძალიან აფასებდა ბეჯით მშრომელებს. მართალია ცხოვრება ძალიან ჭირდა, მაგრამ ხალხს ნათელ მომავალზე იმედი აძლებინებდა. გიგა მარიდაშვილი ერთ-ერთი იყო მათგან, ვინც დღე-ღამეს ასწორებდა ბეჯითი შრომით და თავისი წვლილი შეჰქონდა მტერზე გამარჯვების საშვილიშვილო საქმეში. აკი ამისთვის დააჯილდოვეს კიდეც სამამულო ომის დამთავრებისთანავე მთავრობის ჯილდოთი, მედლით „დიდი სამამულო ომის პერიოდში თავდადებული შრომისათვის". მერე კი ჯარში სამსახური, ისევ მოწინავეთა რიგებში დგომა. გიგა მარიდაშვილმა, როგორც მოწინავე მექანიზატორმა, თავი ისახელა სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანაში, რისთვისაც არაერთხელ წარადგინეს მთავრობის ჯილდოზე, როგორც სტახანოველი მექანიზატორი-მესიმინდე. იგი ჯერ დტ-ს ტიპის ტრაქტორზე მუშაობდა, ხოლო მერე ტრაქტორი ბელარუსი მიამაგრეს და თავის მეწყვილე ავთო კევლიშვილთან ერთად „ნასადგომარში" ნაივრალზე 60 ჰა სიმინდის ნათესი გაიპიროვნა მოსავლელად. გასული საუკუნის 60-იან წლებში რეკორდული მოსავალიც მოიწია – ჰექტარზე 20-25 ტონა სიმინდი, რისთვისაც მთავრობამ შრომითი დიდების ორდენით დააჯილდოვა. წლები წლებს მისდევდა და გიგა მარიდაშვილის სახელი ქუხდა. ადგილობრივი და რესპუბლიკური გაზეთები, რადიო და ტელევიზია გიგას შრომით მიღწევებს მთელ ქვეყანას აცნობდა. მისი სახელი დიდების მწვერვალზე ამაღლდა და მაგალითის მიმცემი იყო ყველასათვის. ჯილდოებს ჯილდოები მოსდევდა. მთავრობის ჯილდოებითა და

წამახალისებელი სიგელებით ივსებოდა მისი შრომითი ბიოგრაფია, მაგრამ მისი ოჯახური ბედნიერება მწუხარების სუდარამ დაფარა. ორი ვაჟიშვილი ერთმანეთის მიყოლებით გამოაცალა სიკვდილმა ხელიდან. ქვეყანაშიც აირ-დაირია ყველაფერი. აშენებული ქვეყანა ერთბაშად დაღმავალი გზით წავიდა და ფიქრებმა გიგა მარიდაშვილი ისევ ცხოვრების რეალობასთან დააბრუნა. საპნის ბუშტივით გაქრა ყველაფერი და ხელში შეგვრჩა გაპარტახებული სოფლის მეურნეობა, უზარმაზარი სასოფლო-სამეურნეო კომპლექსების გაუქმება, უმუშევრობა, უიმედობა. ქართველები თანდათანობით ლუკმა-პურის საშოვნელად საზღვარგარეთ გაიხიზნენ.

უცებ გიგა მარიდაშვილის ყურადღება ქვემო სამგორის მარცხენა მაგისტრალური არხის სარწყავი წყლის გადავსებულმა არხმა მიიქცია და ფიქრებით ისევ გასული საუკუნის 60-იანი წლების მღელვარე მოვლენებში დააბრუნა იგი.

1961 წლის თებერვალი იყო, როცა მე და გეგენა ჭიაბერაშვილი, როგორც გიორგიწმინდის მოწინავე მესიმინდეები ნიკიტა ხრუშჩოვთან შეხვედრაზე მიგვიწვიეს ბადიაურში გამართულ მთელი საქართველოს მოწინავე მესიმინდეებთან თათბირზე. მახსენდება ის ტრაგიკომიკური ხასიათის თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს ცეკას I მდივანი ვასილ მჟავანაძე და პარტიის საგარეჯოს რაიკომის I მდივანი გიორგი ნადაშვილი. იქ გადაწყდა დიდი ისტორიული მიზანდასახულობის ხორცშესხმა – ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის აშენება, რომელიც დაიწყო გიორგიწმინდის ტერიტორიაზე 1962 წელს. ეს წელი საგარეჯოს ქალაქად დაფუძნების თარიღიცაა. გრანდიოზული მშენებლობა გადაიჭიმა საგარეჯოს რაიონის მთელ სივრცეზე და დასრულდა უმოკლეს დროში – 70-იან წლებში. ამ არხმა მარტო ჩვენს რაიონში მორწყა 28000 ჰექტარი და ბაღნარად აქცია ჩვენი რაიონის სოფლები. დიდი მოვლენა იყო აგრეთვე სატუმბი სადგურების მოწყობა. მარტო ერთმა მათგანმა საგარეჯოს სატუმბო სადგურმა მორწყო 500 ჰა გამოგვალული მიწა და მიწიერ ედემად აქცია საგარეჯოს და გიორგიწმინდის მოსახლეობის საკარმიდამოები. რიგები იდგა საგარეჯოს საკონსერვო ქარხნის წინ მოსახლეობის მომეტებული ხილისა და ბოსტნეულის ჩასაბარებლად. ახლა კი 20 წელზე მეტია ეს სატუმბი სადგურები მოისპო და ედემადქცეული მოსახლეობის საკარმიდამოები ყამირად იქცევა. ის საკონსერვო ქარხანაც გაჩერებულია. მალე პარლამენტის არჩევნები ჩატარდება და ახლადარჩეულ დეპუტატს უნდა ვთხოვოთ აღგვიდგინოს მთავრობამ სარწყავი ქსელი და საკონსერვო ქარხანა. – ამ ფიქრებით მიადგა გიგა მარიდაშვილი საგარეჯოს II „სათნოების სახლს" თავისი ჩანთით.

ალექსანდრე ელერდაშვილი



საგარეჯოელი სამბისტები – ბულგარეთის მსოფლიო პირველობაში იასპარეზებენ

15 სექტემბერს თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა ჭიდაობა სამბოში 1994-96 წლიან ჭაბუკებს შორის. ასპარეზობის მიზანი გახლდათ ბულგარეთის მსოფლიო პირველობის მონაწილეთა გამოვლენა, რაც მიმდინარე წლის ოქტომბერში ჩატარდება.

შესარჩევ პირველობაში ქვეყნის სხვა ჭაბუკ სამბისტთა შორის ძალებს ჩვენი მუნიციპალიტეტის სპორტსმენებიც სცდიდნენ, რომელთაგან ორმა: 48კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ირაკლი კუპატაძემ და ზაურ მამარდაშვილმა (81კგ) ჩემპიონის წოდება და მსოფლიო პირველობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

ასპარეზობაზე მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს სოლომონ თედიაშვილმა (56კგ) და ზაზა როსტომაშვილმა (60კგ). ჭაბუკებში ევროპის წლევანდელი ჩემპიონი ძიუდოისტი კობა მჭედლიშვილი მესამე პრიზიორი გახდა 65 კგ წონით კატეგორიაში.

საგარეჯოელი სამბისტები ამ პირველობისათვის მოამზადეს მწვრთნელებმა მამუკა მათიაშვილმა და ნიკოლოზ გაგნიაშვილმა.

გივი დაგახიშვილი

სურათებზე:
ზაურ მამარდაშვილი (მარცხნივ) და ირაკლი კუპატაძე

მადლობა

17 სექტემბერს დავუბრუნდით მშობლიურ სკოლას უფრო მეტი შემართებით, მეტი მონდომებით.

სწავლისათვის მეტ სტიმულს გვაძლევს ჩვენი ახლადგალამაზებული კლასი, რომლის მოწესრიგება ითავა ბატონმა **ემზარ კუჭუაშვილმა**. მან ბავშვობის და მოსწავლეობის ლამაზი წლები სწორედ ამ საკლასო ოთახში გაატარა. მის მეხსიერებაში ტკბილ მოგონებად დარჩა სკოლაში განვლილი პერიოდი. მან გაალამაზა და გაამშვენიერა კლასი, რითაც თავისი მოგონებები კეთილი საქმით გააცოცხლა.

ამ დიდი სიკეთისათვის მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო ბ-ნ ემზარ კუჭუაშვილს მთელი კლასისა (VII კლასი) და კლასის ხელმძღვანელის ლალი კოხტაშვილის სახელით და მივცე პირობა იმისა, რომ მომავალში ღირსეულ მამულიშვილებად გავიზრდებით, ვიქნებით ისეთები, როგორებსაც თავად ისურვებდა, როგორებიც ჩვენს სამშობლოს სჭირდება.

***

ღმერთო აღანთე ქართველთა გულში,
პატრიოტული სულისკვეთება,
ერთურთს მივუდგეთ ძმებივით მხარში,
და აღვავლინოთ ცაში ვედრება:
უფალო, გვიხსენ ბოროტისაგან
და გაგვიხსენი ცის თაღი ყველა,
მოგვეცი რწმენა, ძალა, შეწევნა,
რაც ჩვენ ყოველთვის გვეოცნებება.
დღეს ჩვენ გვჭირდება ერთგული ხალხი,
საქართველოს რომ გამოადგება.
ყველამ იცოდეს, სიკეთეს ვინც იქმს
მას სიკეთითვე დაუფასდება.

გიორგი ესაიაშვილი
საგარეჯოს II საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე

დათო თოლომაშვილი

საქართველო ჩვენია

ქვეყნად ბევრია მმართველი
უსულგულო და უტვინო,
დაგვეხსენ, ჯარი გაიყვა,
რას გვემართლები, პუტინო?!
მტკვარი ჩვენია, ლიახვიც,
ალაზანი და რიონი,
ღმერთმა გვიბოძა დამცველად
ჭაღარა კავკასიონი!
თქვენ ხომ ქვეყანა დიდი გაქვთ,
დიდი გაქვთ არეალია,
მეზობელი ხარ, მობრძანდი,
ღია გვაქვს დარიალია.
ოდითგან ძმურად ცხოვრობდნენ
ეს მეზობელი ხალხები,
ეხლა ტანკებით რად მოხველ,
რად დაგვინგრიე სახლები?
მაგ მოქმედებით, პუტინო,
ეხლა მტრებად რად გვაქციე,
ქართველი საქართველოში
ლტოლვილად გადააქციე.
მტერი ბევრი გვყავს, გვიცქერენ,
ვით ტყიდან მგელი რუხია,
ის არ იკმარეს, წაგვართვეს
სოჩა, კახი და ნუხია.
მტერი ვერაფერს ვერ გვაკლებს
ქვეყანა მაინც შენდება,
ქართველი საქართველოში
არასდროს გადაშენდება.

ჩვენი ვეტერანი სპორტსმენები

რეგიონის პირველობა მოიგეს

17 სექტემბერს საგარეჯოს ძიუდოს დარბაზში ჩატარდა კახეთის რეგიონული პირად-გუნდური პირველობა ჭიდაობა ძიუდოში ასაკით 32 წელს ზევით ვეტერან მოჭიდავეთა შორის. პირველობაში სულ კახეთის სამი მუნიციპალიტეტის: დედოფლისწყაროს, ახმეტისა და საგარეჯოს ვეტერანი ფალავნები იღებდნენ მონაწილეობას. ასპარეზობა ხუთ წონით კატეგორიაში ჩატარდა და ხუთივე საგარე ნ ო მეორე-მესამე ადგილებზეც საგარეჯოელი სპორტსმენები: ლევან ბასილაშვილი და რამაზ ასაბაშვილი გავიდნენ.

73 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველობა არავის დაუთმო მამუკა მათიაშვილმა. მეორე ადგილზეც ჩვენი ფალავანი ზვიად შათირიშვილი გავიდა, მესამეზე გოგიტა მეკოკიშვილი და თემურ კურდღელაშვილი.

ქართლოს თედიაშვილი ჩემპიონი გახდა 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში, ხოლო კახაბერ ყორღანაშვილი 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში. ამავე წონაში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა ნუკრი გაგნიაშვილმა.

მძიმე წონაში ჩემპიონი გახდა კაკაბეთელი ფალავანი ძიუდოში ახალგაზრდებს შორის ევროპის წლევანდელი ჩემპიონის კობა მჭედლიშვილის მამა ჯამბულ მჭედლიშვილი. ასპარეზობა დაამშვენა ამავე წონაში მოასპარეზე თავისუფალ ჭიდაობაში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ტარიელ როსტომაშვილის ჭიდაობამ. 64 წლის ფალავანმა, რომელსაც არასოდეს გაუყვია ხელი კიმანოში არა თუ შეძლო თავისი ათეული წლებით უმცროს მეტოქეებთან გამკლავება, არამედ III საპრიზო ადგილიც დაიკავა. ამ შედეგებით საგარეჯოელ ვეტერანთა ნაკრები კახეთის რეგიონის ჩემპიონი გახდა. ამ წოდებასთან ერთად სათანადო სიგელით, მედლებითა და ფულადი ჯილდოთი – 100 ლარით დაჯილდოვდნენ. საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ კი მათ ახალი კიმანოები გადასცა და მოუწყო ბანკეტი.

მადლობა

დღევანდელმა ყოფითმა პრობლემებმა მნიშვნელოვნად შეცვალა ადამიანების ურთიერთდამოკიდებულება, რამაც ზეგავლენა მოახდინა ურთიერთპატივისცემაზე. მაგრამ, დრომ ვერ შეცვალა ის ადამიანები, რომლებსაც უყვართ ადამიანებთან ურთიერთობა და ყველას მიმართ კეთილგანწყობილნი არიან. სავაჭრო ობიექტებში შესული ადამიანი ჯერ თავის ფულად რესურსებს გადახედავს და შემდეგ იწყებს პროდუქტის შერჩევას, მაგრამ, ყოველთვის იმ მარკეტში შედის, სადაც თავაზიანად და ყურადღებით ექცევიან. სწორედ ამ თავაზიანობისათვის და კულტურული მომსახურებისათვის მინდა მადლობა გადავუხადო მარკეტ „შარმის“ მენეჯერს ქეთევან გორელაშვილს, მარკეტ „თენგიზ ივანელაშვილის“ ყველა მომსახურე პერსონალს, ხორცის მაღაზიის გამყიდველს დათო ღვთისავრიშვილს, ხილ-ბოსტნეულის მაღაზიის თანამშრომელებს თემურ თედიაშვილსა და სანდრო ბედიაშვილს, შპს ორბიტა „ა და ზ“-ს თანამშრომელს ელისო თედიაშვილს. თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებიც გულს გვტკენენ და შეურაცხყოფას ადვილად მოგაყენებენ. ასეთებისგან ყველა თავს შორს ვიჭერთ. კარგი იქნება, თუ ასეთები გონს მოეგებიან და მომხმარებელს, კლიენტს თავაზიანად მოეპყრობიან.

გივი კარანაძე,
საგარეჯო

უღრმესი მადლობა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს ბატონ **შალვა ჯაბადარს,** საგარეჯოს საკრებულოს თავმჯდომარეს ბ-ნ **ილია ჭიაურელს**, სოციალური სამსახურის უფროსს ბ-ნ **ძ. მათიაშვილს** ჩემდამი გაწეული მატერიალური და სულიერი დახმარებისათვის.

დიდი მადლობა საგარეჯოს გამგეობის, საკრებულოს ყველა თანამშრომელს თანაგრძნობისათვის და დახმარებისათვის.

თქვენ რომ არა, მე ვერ შევძლებდი იმ თანხის გადახდას, რაც დამჭირდა ოპერაციისათვის (თვალის ოპერაცია). მე თქვენი შემწეობით ახლად დავიბადე, მომეცა საშუალება დამენახა მთელი სამყარო.

უფალი იყოს თქვენი მფარველი და მრავალი ასეთი მადლიანი საქმეები გეკეთებინოთ.

ავთანდილ შაჰარაშვილი
საგარეჯო

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 577 951 488

ელ. ფოსტა: garejismacne1@hotmail.com